პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №

27 ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,
ირაკლი შენგელიას ანგარიში 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის
ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35–ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე–17 მუხლის მე–3 პუნქტის, 132–ე და 134–ე მუხლების საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დადებითად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას ანგარიში 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას ანგარიში 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 27 ნოემბრის
№ .... განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,
ირაკლი შენგელიას ანგარიში 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის
ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

1. წინასიტყვაობა

წლევანდელი საანგარიშო პერიოდი დიდი და მნიშვნელოვანი გამოწვევების პერიოდი იყო ჩვენი პოლიტიკური გუნდისათვის. მოგეხსენებათ, პოლიტიკურმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვება შეძლო საპარლამენტო არჩევნებში. უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული იყო ჩვენი ქალაქის როლი ამ წარმატებაში. აღნიშნული კი, დიდწილად განაპირობა იმან, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თითოეული წარმომადგენლი განსაკუთრებული ძალისხმევით, დიდი პასუხისმგებლობითა და მაღალი მოქალაქეობრივი მიდგომით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

საანგარიშო პერიოდში, კიდევ უფრო გაიზარდა ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს კანონქვემდებარე მუშაობა, საგრძნობლად გააქტიურეს საქმიანობა საკრებულოს თანამდებობის პირებმა და კომისიებმა, მნიშვნელოვნად ამაღლდა საკრებულოს აპარტის საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობის ხარისხი. სისტემატური ხასიათი მიეცა ამომრჩეველთა საჭიროებების შესწავლისა და მათი გადაწყვეტის საკითხებზე მუშაობას.

2. ორგანიზაციული მიმართულებით გაწეული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, ჩემი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საქართველოს კანონმდებლობით საკრებულოსათვის მონიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით. აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში, საგრძნობლად დაიხვეწა კომისიებისა და ფრაქციების მიერ სხდომების ჩატარების, სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების მიღების პრაქტიკა.

საკრებულოს კომისიების მიერ შემუშავებული დასკვნების საფუძველზე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საკრებულოს მიერ მიღებული აქტების ხარისხი.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლის გაძლიერებისათვის, სისტემატური ხასიათი მიეცა საკრებულოს ბიუროს, საკრებულოსა და კომისიების სხდომებზე მათი ანგარიშების მოსმენისა და შეფასების საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოს საკანონმდებლო აქტებითა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებას, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანას, ბიუჯეტის შესრულების შეფასებას, მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვისა და მართვის საკითხებში აღმასრულებელი ორგანოსათვის ხელშეწყობას, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული პოლიტიკის, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და საყოფაცხოვრებო – კომუნალური, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს განვითარების, გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საკრებულოს აპარატის საქმიანობის სრულყოფის, კანონშემოქმედებითი მუშაობის საკითხებს და სხვ.

ა) საკრებულოს სხდომების მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით გატარებული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად დაიხვეწა საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა. ყველა სხდომა ჩატარდა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილ ვადებში. სხდომების ჩაშლის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. 2023 წლის ნოემბრიდან დღემდე ჩატარებულია საკრებულოს ბიუროს 29 და საკრებულოს 16 სხდომა (მათ შორის 12 რიგითი, 4 რიგგარეშე). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებისა და მიღებული გადაწყვეტილებების კანონით დადგენილ ვადებში პროაქტიულად გამოქვეყნებას. დიდი ყურადღება მიექცა საკრებულოს სხდომების მომზადებისა და ჩატარების პროცესში საჯაროობის პრინციპების დაცვას. უზრუნველყოფილი იყო სხდომებზე მოწვეულ პირთა და სხდომებში მონაწილეობის მსურველთა დასწრება. მოცემულ პერიოდში, საკრებულოს სხდომებს 59 მოქალაქე დაესწრო. საკრებულოს სხდომები გადაიცემოდა ტელე–რადიო კომპანია „რიონის“ ეთერითა და ფეისბუქ გვერდის საშუალებით, პირდაპირი ტრანსლაციით. სხდომების მოწვევისა და მისი მიმდინარეობის თაობაზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია ადგილობრივი თვითთმმართველობის ვებ გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ განიხილა 124 საკითხი, მიღებულ იქნა 119 სამართ-ლებრივი აქტი, 5 საკითხი დაუბრუნდა აღმასრულებელ ორგანოს ხარვეზების გამოსწორების მიზნით. განხილულ საკითხთა შორის 20-მდე საკითხი საკრებულოს სხდომებზე წარმოდგენილ იქნა საკრებულოს წევრთა ინიციირებით.

აღმასრულებელი ორგანოსა და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლის გაზრდის მიზნით, საკრებულოს, საკრებულოს ბიუროსა და კომისიების სხდომებზე სხვადასხვა დროს მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების: შიდა აუდიტის, სოციალურ საკითხთა, ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართვრლობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის, სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურების; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“, „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“, „ქალაქ ქუთაისში საზოგადოედბრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“, „ქუთგანათების სერვისის“, „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“, „მადლიერების სახლის“; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების: „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“, „საფეხბურთი კლუბი მართვეს“, „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკისა“ და რიგი სხვა ორგაანიზაციების ანგარიშები და ინფორმაციები გაწეული მუშაობის თაობაზე.

ბ) კანონქვემდებარე საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული საკრებულოს სამართლებრივი აქტების სრულყოფის მიზნით. მოცემულ პერიოდში, ორჯერ მომზადდა საკრებულოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საზედამხედველო ფუნქციებისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებისაკენ იყო მიმართული. აღნიშნული პროექტების თაობაზე საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილებები.

საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილებები განხორციელდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებაში.

საგულისხმოა, რომ აპარატის ფუნქციებში აისახა დათქმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე. აღნიშნული კანონის საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად, საკრებულოს აპარატს დაემატა პერსონალური დაცვის ოფიცრის თანამდებობა. აპარატში მიღებულ იქნა თანამშრომელი ამ თანამდებობაზე, რომლის მიერ შემუშავდა საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი და აღნიშნულის შესახებ გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება. დოკუმენტის მიზანია სუბიექტის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და დაცვა კანონით გათვალისწინებული წესით.

დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება საკრებულოს აპარატის ინფორმაციული აქტივების ყველა პროცესზე, საჯარო მოსამსახურეებსა და ნებისმიერ პირზე, ვინც ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

საანგარიშო პერიოდში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკრებულომ ცვლილებები განახორციელა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - ადმინისტრაციული და მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურების დებულებებში. ცვლილებები იქნა შეტანილი საკრებულოსა და მერიის საშტატო ნუსხებში, რომლებშიც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად აისახა საკრებულოსა და მერიის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების ზრდა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა მოტივაციის ამაღლებასა და შრომის ნაყოფიერების გაზრდას.

კანონით დადგენილ ვადაში მიიღო საკრებულომ დადგენილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“, რომლითაც მიწის ნაკვეთების საფასური დადგინდა ახალი საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით.

ცვლილებები იქნა შეტანილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრულ ღონისძიებებში, რომლის მიხედვითაც ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების სოციალური ფონის გათვალისწინებით, შეიცვალა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პროცენტულ წილში მონაწილეობის წესი.

მოცემულ პერიოდში, საკრებულომ ცვლილება შეიტანა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესებში

ცვლილებები განხორციელდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M^3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილებაში და ა.შ.

3. საფინანსო – საბიუჯეტო მიმართულებით გაწეული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის განხილვის, დამტკიცებისა და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხებს.

გასული წლის 12 დეკემბრის რიგგარეშე მე-12 სხდომაზე საკრებულომ მიიღო დადგენილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც საბოლოოდ დაკორექტირდა გასული წლის ბიუჯეტი, ხოლო, 27 დეკემბერს, საკრებულოს 26-ე რიგით სხდომაზე განხილულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, 2024–2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები.

საკრებულოს მიერ, 2024 წლის ქალაქის მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტის დამტკიცებას წინ უსწრებდა ბიუჯეტის განხილვის მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები. პროექტი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საყოველთაო განხილვის მიზნით, გამოქვეყნდა პროაქტიულად. საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს საკრებულოს შესაბამისი კომისიებისა და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე, კომისიების მიერ შემუშავდა დასკვნები, რომლებშიც ჩამოყალიბებული წინადადებები გათვალისწინებულ იქნა ბიუჯეტის პროექტში.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტით საგრძნობლად გაიზარდა ინფრატრუქტურის, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის, ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსება.

მოცემულ პერიოდში, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში ოთხჯერ იქნა შეტანილი ცვლილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდის მიზნით.

საკრებულომ, საანგარიშო პერიოდში, სერიოზული ყურადღება მიაქცია ბიუჯეტის შესრულების კონტროლისა და მისი შესრულების შეფასების საკითხებს. საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე განხილვის შემდეგ, 2024 წლის 27 მარტს, საკრებულოს 29-ე რიგით სხდომაზე მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომელიც საკრებულოს მიერ შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

სანგარიშო პერიოდში, საკრებულოს წევრებს, კომისიებსა და ფრაქციებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ქალაქის მერის მიერ, საკრებულოში წარმოდგენილ ინფორმაციებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 3 თვის, 6 თვისა და 9 თვის შესრულების მდგომარეობის შესახებ. აგრეთვე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დროულად დაიწყო კამპანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აქტიური მუშაობა წარიმართა ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრაში მოქალაქეთა ჩართვის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც საქმიანი შეხვედრები მოეწყო ქალაქის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ქალაქის მოსახლეობასთან, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს ქალაქის მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტის მიღების საქმეში.

ქალაქის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, კანონით დადგენილ ვადაში იქნა წარმოდგენილი საკრებულოში განსახილველად 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომელიც პროაქტიულად გამოქვეყნდა ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდზე და განხილულ იქნა საკრებულოს კომისიებში.

ვიმედოვნებ, რომ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ძალისხმევით, ქალაქის მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი მიღებულ იქნება ახალ წლამდე.

4. ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებისადმი მხარდაჭერა

საკრებულომ, საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების შემუშავებასა და სამთავრობო კომისიაში წარდგენას. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების საფუძველზე, საკრებულოს მიერ სხვადასხვა დროს მოწონებულ იქნა 2021–2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების 74 საპროექტო წინადადება.

საკრებულოს თანადგომითა და მხარდაჭერით, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა მრავალსართულიანი ბინების ფასადების, სადარბაზოებისა და ლიფტების, სკვერების, ღვარსადენი ქსელებისა და საყრდენი კედლების რეაბილიტაციისა და საგზაო ინფრასტრუქ-ტურის მოწყობის, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების მოწესრიგების საკითხებს.

ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „ოქროს ჩარდახის“ რესტავრაცია-რეაბილიტაცია. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მიმდინარეობს ყოფილი მუზეუმის შენობის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის - მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცის მოწყობა და საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის რეაბილიტაცია.

5. მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის, მართვისა და ეკონომიკის განვითარების მიზნით გაწეული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვისა და მართვის სფეროს მიმართულებით.

მიმდინარე წლის 24 აპრილს, იურიდიული პირების ქონების უკეთ მართვისა და განკარგვის მიზნით, საკრებულოს 30-ე რიგით სხდომაზე დამტკიცებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისების, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშისწორების წესი.

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით, ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების შემოსვლის მიზნით, საკრებულომ მიიღო ახალი დადგენილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“.

მოცემულ პერიოდში, საკრებულომ ექვსჯერ იმსჯელა ქალაქ ქუთაისის მუნიციპა-ლიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის თაობაზე და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. სხვადასხვა დროს, შვიდი განკარგულება იქნა

მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის თაობაზე. ექვსი განკარგულება იქნა მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით. ერთი განკარგულება შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე მიღებულია ოცდათერთმეტი განკარგულება, ხოლო, მოძრავი ქონების გადაცემის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე – შვიდი განკარგულება.

6. ქალაქმშენებლობითი განვითარების ღონისძიებების ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქალაქის სივრცითი დაგეგმარებისა და განაშენიანების ხელშეწყობის მიზნით. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის გათვალისწინებით, საკრებულომ სხვადასხვა დროს განიხილა საკითხები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების, დავალების გაცემის, კონცეფციისა და დეტალური გეგმების დამტკიცების შესახებ.

საკრებულომ 15-ჯერ იმსჯელა ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. 5-ჯერ დაუბრუნდა აღმასრულებელ ორგანოს შესაბამისი აქტების პროექტები მათში არსებული ხარვეზების გამო. კანონის შესაბამისად, საკრებულოს მიერ ყველა პროცედურა გაიარა ორმა საკითხმა, რომლებიც შეეხება გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის №39ა-სამხერეთით და ლ.ასათიანის ქუჩის № 96-სა და № 96-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების დეტალური გეგმების დამტკიცებას. მერს მიეცა თანხმობა 4 მიწის ნაკვეთის დეტალური გეგმის ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე.

7. განათლების, ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა განათლების, ახალგაზრდობის, კულტურის სფეროსა და სპორტის ღონისძიებების მხარდაჭერასა და განვითარებას.

საკრებულოს მხარდაჭერით, მიმდინარე წლის ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხარჯები დაფინანსდა 13774.6 ათასი ლარით. საგულისხმოა, რომ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელდა ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის №18 ფილიალის და დავით კაკაბაძის სამხატვრო გალერეაში საგამოფენო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მიმდინარეობს ციფრული განათლებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ცენტრის რეაბილიტაცია.

საკრებულოს აქტიური თანადგომით, განათლების ღონისძიებების დაფინანსება განისაზღვრა 273.6 ათასი ლარით, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა განათლების მიმართულებით განსაზღვრული სხვადასხვა ღონისძიებების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარება. საანგარიშო პერიოდში, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაჯილდოვდა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი გრანტის მომპოვებელი ქუთაისელი სტუდენტები, კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებულები, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის წარმატებული და ღვაწლმოსილი თანამშრომლები. მოეწყო ინტელექტუალური კონკურსი ქუთაისის სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით „რა? სად? როდის?“ „სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება“ პროგრამის ფარგლებში ისარგებლა 17-მა ბენეფიციარმა. საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე ქუთაისელი მოსწავლეებისა და სტუდენტების მონაწილეობის დაფინანსებით ისარგებლა 50 - მდე მოსწავლემ და სტუდენტმა. მიმდინარე წლის 2 ივნისს, ქუთაისის ახალგაზრდობის პარკში ჩატარდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქალაქო ღონისძიება. 2024 წლის 15 აგვისტოდან 29 აგვისტომდე ორ ნაკადად მოეწყო საზაფხულო ბანაკები დაბა ბაკურიანში ქუთაისის საჯარო სკოლების მე-8, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით.

საკრებულომ სერიოზული მხარდაჭერა გამოხატა კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კულტურის ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა ანსამბლ „თბილისის“ კონცერტი. გაიმართა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2024“. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაფინანსდა ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლი „ბერმუხა“, გამოიცა ჟურნალები: ,,უქიმერიონი“,

,,მწვანეყვავილა“ და „განთიადი“. მემორანდუმის ფარგლებში დაფინასდა ქუთაისის (იმერეთის) მხატვართა რეგიონული ორგანიზაციის ხუთი გამოფენა. 2 მაისს ჩატარდა ქუთაისქალაქობისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები. 12-26 ივნისს გაიმართა რიგით მე-15 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „თეატრალური იმერეთი“. ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის წინ გაიხსნა გიზო კაკაურიძის ვარსკვლავი. ქუთაისში ჩატარდა ცნობილი გასტრონომიული ფესტივალი ,,გემო-ფესტი“. ქუთაისის ,,მურალ ფესტის“ ფარგლებში მოიხატა 5 კედელი. ახალგაზრდობის პარკში დაიდგა ანა კალანდაძის ბიუსტი.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ქუთაისის ახალგაზრდული ფესტივალი.

საკრებულოს ხელშეწყობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-210-ის“, ქალთა ფეხბურთისა და რაგბის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა ქუთაისელი სპორტსმენების წახალისებისა და მხარდაჭერის მიზნით. წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენების სტიპენდია გაიცა 35 სპორტსმენზე, დაფინანსდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირება, გაიცა ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტურნირებზე გასამგზავრებლად ფინანსური დახმარება და ა.შ.

მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა – რეაბილიტაცია – ექსპლოატაციის საკითხებს. დასრულდა ხარებავას ქუჩის №52 -ში მდებარე სპორტული დარბაზის რეკონსტრუქცია და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის №65-ში მდებარე რაგბის სკოლის სახურავის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს №17 სპორტული სკოლის კრივის დარბაზის, მისი ადმინისტრაციული შენობისა და ჩოგბურთის კორტების კომპლექსის რეაბილიტაცია.

8. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მხარდაჭერა

საკრებულოს ერთ-ერთ პრიორიტეტს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მათი სოციალური დაცვა წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურების, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო

დანიშნულების საგნებით დახმარების, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების, ზოგადსანამანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევის, ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფის, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების, სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების, მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირების ფინანსური დახმარების, უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის, მათი უფასო კვების, ქალაქში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული 0-18 წლამდე ასაკის პირების მატერიალური დახმარების, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის, მარტოხელა მშობლების დახმარების, ოჯახში ძალადობის მნსხვერპლთა დახმარების მიზნით და სხვ.

9. საკრებულოს კომისიების საქმიანობა

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ რომლებიც თავის საქმიანობას წარმართავენ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიების დებულებებისა და კომისიის სამუშაო გეგმების შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში, მათ მიერ ჩატარებულია 61 სხდომა. განხილულია 200-მდე საკითხი, შემუშავებულია 160-მდე დასკვნა და 9 რეკომენდაცია. კომისიების მიერ ჩატარებული ყველა სხდომა იყო ღია და საჯარო. კომისიების სხდომების ჩაშლის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. სხდომების მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართული აღმასრულებელ ორგანოთა წარმომადგენლები. ყველა სხდომა დაოქმებულია და შედგენილია 61 სხდომის ოქმი.

ა) იურიდიულ საკითხთა კომისია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია.

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო, ცენტრალური და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ შეიმუშავა კომისიის 2023 - 2024 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს 16 სხდომა, განხილული აქვს 55 საკითხი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით მომზადებული აქვს 55 დასკვნა და 4 რეკომენდაცია. კომისიის მიერ, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარდგენილ იქნა 14 სამართლებრივი აქტის პროექტი. მათ შორის, საკრებულოს წევრების, დარეჯან ფხაკაძისა და ინგა ჯავახაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების; საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში შეტანილი ცვლილებების ცნობად მიღების; საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობაში ცვლილების შეტანის; საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ სახელწოდების შეცვლის; ოპოზიციის განახლებული სიის რეგისტრაციის შესახებ და სხვ.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა კომისიამ მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია აღმასრულებელი ორგანოს კონტროლისა და საზედამხედველო ფუნქციის გაძლირების უზრუნველყოფას. ამ მიზნით, მოცემულ პერიოდში, თავის სხდომებზე მოისმინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“; „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“; „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის“; „ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების“; მერიის დისციპლინური წარმოების; ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი; გამოჩენილ პირთა პატივგების; პირის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიების; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიშები.

კომისიის მიერ ზემოაღნიშნული საკითხების ფარგლებში შემუშავებული და ადრესატთან გაგზავნილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

ბ) საფინანსო – საბიუჯეტო კომისია

საკრებულოს სამუშაო პროცესში აქტიურად არის ჩართული საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისია.

კომისიის მიერ, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა კომისიის 14 სხდომა, განხილულ იქნა 43 საკითხი. შემუშავდა 5 დასკვნა.

მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა კომისიის სტრატეგია და სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი.

კომისიის სამუშაო გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე პერიოდულად იხილებოდა ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების განვლილი პერიოდის საქმიანობა და სამომავლო პერსპექტივები.

საანგარიშო პერიოდში, კომისიამ განიხილა და შეაფასა 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები; მოამზადა წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ, რომელიც მიეწოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას; განიხილა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები, რომელთა შესახებაც მოამზადა შესაბამისი დასკვნები.

კომისიის მიერ, განხილულ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები, 2024 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობები და მათი მოსალოდნელი სოციალურ–ეკონომიკური ეფექტიანობა; მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების: სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების; კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა; სოციალურ საკითხთა; საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების; მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურების; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“; „მადლიერების სახლის“; „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“; „ი.ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“; „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“; „სპეციალური სერვისების“; „ქუთგანათების სერვისის“; „ფოლკლორის ცენტრი–სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“; „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“; „ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი–2015“-ის; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებრბის: „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“; „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“; „საფეხბურთო კლუბი „მართვეს“; „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საფინანსო–საბიუჯეტო კომისიამ მერიის ცალკეული სამსახურებისა და მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ანგარიშების განხილვისა და ანალიზის შედეგად მოამზადა და სარეკომენდაციო წერილებით მიმართა ქალაქის ხელმძღვანელობას.

გ) ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

საანგარიშო პერიოდში სერიოზული საქმიანობა გასწია საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

კომისია თავის საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენის, საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას. საკრებულოს სხდომამდე, აქტიურად იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს სხდომას, უზრუნველყოფს ამა თუ იმ უძრავი ან მოძრავი ქონების ორგანიზაციისათვის ან ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის გადაცემის შესახებ პროექტების დამუშავებასა და დასკვნების მომზადებას. სერიოზული ყურადღება ეთმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის შესახებ განკარგულებების პროექტების განხილვას.

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 19 სხდომა, განხილულია სულ 95 საკითხი, რომლებზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, ყველა მათგანთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა დასკვნები.

კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, ასევე, მონაწილეობა მიიღო კანონით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებაში.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების, დავალების გაცემისა და

კონცეფციის დამტკიცების თაობაზე აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას.

მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2024 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე ხდება ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების გაწეული საქმიანობისა და სამომავლო პერსპექტივების განხილვა.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თავის სხდომებზე ისმენს მერიის შესაბამისი სამსახურების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული თუ სხვა ანგარიშვალდებული პირების ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ და ახორციელებს მონიტორინგს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. კომისიამ, სხვადასხვა დროს, მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ორი პირველადი სტრუქტურული ერთეულის, სამი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, კომისიამ დაამტკიცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა.

კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად, რომელიც ეხება, როგორც მატერიალურ, ასევე ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, კერძოდ: ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სკვერების მოწყობას, შემზღუდავი ბარიერების სამაგრი სამუშაოების ჩატარებას, გარე განათების დამონტაჟებას, მცოცავი მიწისა და ფასადის სამაგრ სამუშაოებს, გზის საფარის მოწყობას და ა.შ, მერიის შესაბამისი სამსახურის წინაშე შუამდგომლობა გაეწია 65-მდე მოქალაქეს.

დ) ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

საანგარიშო პერიოდში, სერიოზული მუშაობა გასწია საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ. იგი აქტიურად ჩაერთო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2024 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ ყველა სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა მერიის სამსახურებთან ერთად.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თავის სხდომებზე ისმენს მერიის შესაბამისი სამსახურების ყოველწლიურ ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ და ახორციელებს

მონიტორინგს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მიმდინარე წელს, კომისიამ რამდენჯერმე მოისმინა ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

2024 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ იმსჯელა და განიხილა ჯანდაცვისა და სოციალური 28 ქვეპროგრამა. კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებში. მისი წინადადებით გაერთიანდა ორი ქვეპროგრამა: „შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსება და „შშმ პირთა საერთაშორისო დღე. ქვეპროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“.

ე) კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია

საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია, რომლის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ქალაქის ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება, ახალგაზრდული ინიციატივებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების მხარდაჭერა, კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა.

კომისიამ მისი არსებობის პერიოდში პირველად შეიმუშავა კომისიის 2023-2024 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლითაც ხელმძღვანელობს თავის საქმიანობაში.

კომისია აქტიურადაა ჩართული როგორც კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით სხდასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში, ასევე საზედამხედველო ფუნქციებიდან გამომდინარე მათ მონიტორინგში.

კომისიის ყურადღების არეში მოექცა ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული კულტურის პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის საკითხები. კულტურის პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში ფინანსური მხარდაჭერა გაეწიათ არტისტებსა და ქურუმებს, მხატვრებს, ადგილობრივ თეატრებსა და ანსამბლებს.

კომისიის პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. კომისიის აქტივობით ახალგაზრდული ინიციატივების

მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 8 ინიციატივა, მოეწყო ზამთრის ლიდერთა ბანაკი 80 ახალგაზრდისათვის დაბა ბაკურიანში. ჩატარდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. მუხნარის ტყე-პარკში გაიმართა მასშტაბური ახალგაზრდული მუსიკის ფესტივალი, რომელსაც 10 000 მდე ახალგაზრდა დაესწრო.

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებული აქტივობების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა განხორციელებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ.

საბჭოს მისიაა ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შექმნასა და აღსრულებას ქუთაისის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა, ქალების საჭიროებების, მოთხოვნებისა და ინტერესების გატარების გზით, საბჭოს ძლიერ, სანდო, გამჭვირვალე, თანასწორობის ეფექტურ, ინკლუზიურ და მდგრად ინსტიტუციად ჩამოყალიბებით.

საგულისხმოა, რომ 2023 წლიდან ქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამული კოდით ცალკეა ასახული გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტი. აღსანიშნავია, რომ გამოყოფილი ფინანსური რესურსი აქტიურად იქნა გამოყენებული საბჭოს ეფექტური და კოორდინირებული საქმიანობისათვის.

გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად ახორციელებს ცნობიერების ამაღლების კუთხით აქტივობებს, თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

საანგარიშო პერიოდში, ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ორგანიზაცია „გოგოურის“ თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა პრეზენტაცია და საჯარო სემინარი, სახელწოდებით „ციფრული ტექნოლოგიების როლის გაზრდა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის“.

ადგილობრივ დონეზე ქალთა ეკონომიური გაძლიერების მიზნით, საბჭო 2024 წლის მანძილზე აქტურად იყო ჩართული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და „USAID“-ის სამოქალაქო განათლების პროექტში „ქალები მომავლისათვის“. პროექტის ფარგლებში საბჭომ გამართა შეხვედრების ციკლი ქუთაისის მუნიციპალიტეტის №15 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და ინტელექტუალურ კლუბ „თაობათა დიალოგის“ წარმოადგენლებთან.

საბჭოსა და ქალთა ფონდი „სოხუმის“ თანამშრომლობის ფარგლებში, შეხვედრა გაიმართა საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან და დევნილ ქალთა სხვადასხვა თემის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე განხილულ იქნა დევნილ ქალთა უფლებები, სააჭიროებები და საყოფაცხოვრებო პრობლემები.

მოქალაქეთა განათლების ხელმისაწვდომობისა და ეკონომიური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, საბჭოსა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს პროფესიული უნარების სააგენტოს, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრისა და კოლეჯ „იბერიას“ თანამშრომლობის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა მოსახლეობის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან. გაზიარებულ იქნა ინფორმაცია ქუთაისში ხელმისაწვდომ, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ, უფასო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამეთან დაკავშირებით.

პოლიტიკაში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, საბჭოს ორგანიზებით, მიმნინარე წელს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა „ტრენინგი“ თემაზე: „გენდერული მეინსტრიმინგი პოლიტიკაში“.

განათლების სფეროში გენდერული ასპექტების მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, საბჭოს ორგანიზებით, მიმდინარე წელს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მასწავლებლებისათვის ჩატარდა „ტრენინგი“ თემაზე: „გენდერული ასპქტები განათლების სფეროში“.

განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის გამოკვეთის მიზნით, საბჭოს წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს ქალაქ ქუთაისის №13 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა, შეხვედრა გაიმართა ინტერაქტიულ რეჟიმში.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის („ათეა“) და საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, საბჭოს წარმომადგენელი ჩართული იყო ტრეინინგკურსში: „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპული ქარტია“ .

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამართულ ფორუმზე „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“, საბჭო მიწვეული იქნა, როგორც საუკეთესო პრაქტიკის მქონე საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით შეიქმნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მომზადდა რეკომენდაციები და გაგზავნილ იქნა მერიის შესაბამის სამსახურებში.

საანგარიშო პერიოდში, საბჭოს ჩატარებული აქვს 7 სხდომა და სამუშაო შეხვედრა, რომლებზეც განხილულია 15 საკითხი. ყველა სხდომა იყო ღია და საჯარო.

11. საკრებულოს აპარატის საქმიანობა

ა) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – სამდივნო განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

მნიშვნელოვანია საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების როლი საკრებულოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია განყოფილების ძალისხმევა საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომების მაღალორგანიზებულ დონეზე მოწვევისა და ჩატარების საქმეში. განყოფილების მიერ დიდი ყურადღება ექცევა საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მაღალ პროფესიულ დონეზე რედაქტირების, საკრებულოს მიერ განსახილველი პროექტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, სამართლებრივი აქტების გამოცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხებს, საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს სხდომების ოქმების კანონით დადგენილი წესით მომზადებასა და შედგენას, საკრებულოს სხდომების მოწვევისა და მისი საჯაროდ გამოცხადების ვადების დაცვას.

საანგარიშო პერიოდში სამდივნო განყოფილების მიერ შედგენილია საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომის 44 ოქმი. რედაქტირებულია საკრებულოს 129 სამართლებრივი აქტის პროექტი, აქედან, გამოცემულია საკრებულოს მიერ მიღებული 122 აქტი (7 აქტი დაუბრუნდა მერიას მათში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით). სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ პროგრამაში ატვირთული, გამოქვეყნებულია და სარეგისტრაციო კოდი მიკუთვნებული აქვს საკრებულოს მიერ მიღებულ 34 ნორმატიულ აქტს. განყოფილების მიერ მომზადებულია 189 წინადადება და რეკომენდაცია საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია განყოფილების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების წესისა და პირობების შესახებ“; „ქუთაისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“; „ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტებთან დაკავშირებით. განყოფილების მნიშვნელოვანი დამსახურებაა, რომ საკრებულოს აქტები დახვეწილი და გამართულია როგორც რედაქციულად, ისე სამართლებრივად.

უნდა აღინიშნოს, რომ სამდივნო განყოფილება აქტიურად არის ჩართული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესში. საანგარიშო პერიოდში განყოფილებამ სერიოზული მუშაობა გასწია საკრებულოს რეგლამენტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, მოამზადა საკრებულოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების ცვლილების პროექტები. შეიმუშავა საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებების, საკრებულოს განკარგულებებისა და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებების პროექტები სხვადასხვა ორგანიზაციულ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით.

განყოფილების მიერ, მოცემულ პერიოდში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მომზადდა 12 სამართლებრივი აქტის პროექტი. ორგანიზაციულ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით შემუშავდა 70 სამართლებრივი აქტის პროექტი, მ.შ. 35 საოქმო გადაწყვეტილების პროექტი და საკრებულოს თავმჯდომარის 35 ბრძანების პროექტი, გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის 35 ბრძანება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდზე საყოველთაო გაცნობის მიზნით, განთავსდა განყოფილების მიერ მომზადებული და რედაქტირებული საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომების ოქმები და საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტები.

ყურადსაღებია, რომ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოთა აპარატებისათვის რამდენიმე წელია, პრობლემად იქცა საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების საკანონმდებლო მაცნესათვის გამოსაქვეყნებლად გადაცემის წესი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილია, რომ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტი საკანონმდებლო მაცნეს გამოსაქვეყნებლად უნდა გადაეცეს მისი მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა. აღნიშნული დათქმა დიდი პრობლემის წინაშე აყენებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოსა და მის აპარატს, განსაკუთრებული სირთულეები წარმოჩინდება დიდი მოცულობის ნორმატიული აქტების მიღების შემდეგ. ზოგჯერ პრობლემებს წარმოშობს სხვადასხვა ტექნიკური შეფერხებების არსებობაც (ელ.ენერგიისა და ინტერნეტის დროებით გათიშვა და სხვ.). არსებული პრობლემების

გადაჭრის მიზნით განყოფილების მიერ მომზადდა კანონპროექტი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოსაქვეყნებლად გადაგზავნის ვადის გაზრდას. კანონპროექტი ინიცირებისათვის გადაეცა შესაბამის უფლებამოსილ პირს. აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით კანონის მიღება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოსა და მის აპარატს შედარებით მეტ დროს მისცემს გამოსაცემ ნორმატიულ აქტზე სამუშაოდ.

საანგარიშო პერიოდში სამდივნო განყოფილების მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საარქივო საქმიანობას. განყოფილების მიერ დამუშავდა საკრებულოს მე-3 და მე-4 მოწვევის მასალები, რომელიც შესაბამისი წესების დაცვით, გადაეცა ქუთაისის ცენტრალურ არქივს. მიმდინარეობს მუშაობა მე-5 და მე-6 მოწვევის მასალების დასაარქივებლად, უკვე დამუშავებულია 30 რიგითი სხდომის მასალა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საჯარო ინფორმაციების მოთხოვნების შესახებ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და მოქალაქეების წერილობითი მომართვებისა და განცხადებების განხილვასა და კანონით გათვალისწინებული ვადების დაცვით შესაბამისი პასუხების მომზადებას.

სხვადასხვა დროს მომზადდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან გასაგზავნი საკრებულოს თავმჯდომარის წერილების პროექტები ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების წინადადებების თაობაზე, საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებების შესახებ, მერის მიერ საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების დაბრუნებისა და სხვა საკითხებზე.

ბ) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – იურიდიული განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – იურიდიული განყოფილების მიერ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე ორგანიზება გაეწია საკრებულოს, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და მისი ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას.

განყოფილების მიერ სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის - ბრძანების 650

პროექტსა და საკრებულოს მიერ გამოსაცემ ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის 124 პროექტს. ექსპერტიზის შედეგად შემუშავდა დასკვნები, რომლებიც გათვალისწინებული იქნა სამართლებრივი აქტების მიღებისას, რამაც ხელი შეუწყო საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

აღნიშნულ პერიოდში იურიდიული განყოფილების მიერ მომზადდა მემორანდუმის ხუთი პროექტი. შესწავლილ იქნა და კანონით დადგენის ვადებში შსაბამისი პასუხი გააეცა შვიდ წერილსა და ხუთ განცხადებას.

განყოფილებას სასამართლო წარმოებაში აქვს ერთი ადმინისტრაციული საქმე.

განყოფილება სისტემატურად ეცნობა და რეაგირებს საქართველოს მთავრობისა და სამინისტროების რეკომენდაციებზე, რაც ხელს უწყობს საკრებულოს მიერ მისაღები აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას.

გ) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში გარკვეული მუშაობა ჩაატარა საკრებულოს აპარატის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა – ადმინისტრაციულმა განყოფილებამ საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების, კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით. ორგანიზება გაუწია საანგარიშო პერიოდში საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ყველა სხდომის მოწვევასა და ჩატარებას, სხდომებზე მოწვეულ პირთა და სხდომებში მონაწილეობის მსურველ მოქალაქეთა დასწრებას.

განყოფილებამ საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების, კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ორგანიზება გაუწია საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშის წარდგენის 20-მდე საჯარო შეხვედრას.

მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის მიზნით განყოფილების ხელშეწყობით ჩატარდა საკრებულოს წევრების შეხვედრები მოსახლეობასთან. ორგანიზება გაეწია 62-მდე შეხვედრას. მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული თითოეული პრობლემა თუ წინადადება ჩანიშნული და დაოქმებულ იქნა ადმინისტრაციული განყოფილების თანამშრომლების მიერ. სულ შედგენილია 62 შეხვედრის ოქმი. თითოეული პრობლემა დამუშავებული და გადაგზავნილია დანიშნულებისამებრ.

საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციულ განყოფილებაში პროაქტიულად გამოქვეყნებაზე განისაზღვრა შესაბამისი პასუხისმგებელი პირი. „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესაბამისად, ქუთაისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარმოდგენილი ყველა ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის პროექტი, საკრებულოს მიერ მიღებული ყველა აქტი, საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების სხდომების ოქმები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ, ინფორმაციები საკრებულოში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების შესახებ კონკურსის შედეგებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაწეული ხარჯების შესახებ, საზოგადოებრივი ინტერესების შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის თაობაზე შემოსული წერილობითი მომართვებისა და განცხადებების შესრულების საკითხს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსულია სულ 45 წერილობითი მომართვა და განცხადება, რომელიც შეიცავს საჯარო ინფორმაციის მიწოდების თაობაზე 216 მოთხოვნას. ყველა მოთხოვნაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილი ვადების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მიზნით, არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა.

2024 წელს საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებული არ არის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლოს მიერ საკრებულოსათვის ხარჯების გადახდის ვალდებულება დაკისრებული არ არის, შესაბამისად, ამ მიმართულებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარჯები არ გაწეულა.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 49-ე მუხლის შესაბამისად, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის

მოთხოვნისა და გაცემის თაობაზე ანგარიში 2023 წელს წარედგინა საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

განყოფილებაში საკრებულოს გამართული ფუნქციონირებისა და დაგეგმილი ღონისძიებების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის მომზადდა სხვადასხვა პროცედურული და ტექნიკური ხასიათის 30 წერილის პროექტი, მათ შორის 10 მიღება-ჩაბარების აქტი.

ადმინისტრაციულ განყოფილებაში შემუშავდა და მომზადდა საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს სხდომებზე დასმული წინადადებების წერილობითი პროექტები და გადაგზავნილი იქნა დანიშნულებისამებრ, სულ 4 ინიციატივა.

დ) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების მიერ, საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქმისწარმოების წესების დაცვასა და კონტროლს.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალური სერვისების მართვის სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის საშუალებით დარეგისტრირდა 2587 წერილობითი მომართვა და 976 განცხადება, რომელთაგან, 145 შეეხება მატერიალური დახმარებას, 39 - ინფრასტრუქტურულ პრობლემებს.

885 წერილი გაიგზავნა დანიშნულებისამებრ. 91 წერილის თაობაზე რეაგირება მოხდა საკრებულოს კომისიებისა და აპარატის მიერ.

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან საკრებულოს თავჯდომარის შუამდგომლობის საფუძველზე, ფინანსური დახმარება გაეწია 186 მოქალაქეს.

შესაბამის ორგანოებსა და მოქალაქეებს გონივრულ ვადებში გაეგზავნა საკრებულოს მიერ მიღებული 88 განკარგულების, 34 დადგენილებისა და საკრებულოს თავმჯდომარის 35 ბრძანების სათანადო წესით დამოწმებული ასლები.

საანგარიშო პერიოდში საქმისწარმოების ვადების დარღვევა არ დაფიქსირებულა.

განყოფილება უზრუნველყოფს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ადმინისტრირებას, რამაც გაცილებით გაამარტივა და ხელმისაწვდომი გახადა ქუთაისის მოსახლეობასთან ონლაინ რეჟიმში კომუნიკაცია, რომლის

დროსაც ხდება პრობლემის იდენტიფიცირება და იწყება საქმისწარმოება კომპეტენციის ფარგლებში საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში ონლაინ რეჟიმში დახმარება გაეწია და პასუხი გაეცა 95 მოქალაქეს.

განყოფილება სერიოზული პასუხისმგებლობით ეკიდება მოქალაქეთა მიღებისა და საკრებულოს სხდომებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობის საკითხებს. მოცემულ პერიოდში, საკრებულოს თანამდებობის პირებთან და საკრებულოს წევრებთან მიღებაზე დაშვებულია 512 მოქალაქე. ორგანიზება გაეწია საკრებულოს სხდომაზე 59 მოქალაქის დასწრებას.

საქართველოს ეროვნული არქივის 2022 წლის 10 იანვრის №13/1354 წერილობითი მომართვის თანახმად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არქივზე პასუხისმგებლობის პირად განისაზღვრა განყოფილების პირველი კატეგორიის სპეციალისტი, რომელსაც დაევალა საკრებულოს საარქივო საქმის მართვა.

„დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანების თანახმად, მიმდინარე წელს განხორციელდა 2007 - 2021 წლების საარქივო დოკუმენტების დამუშავება და სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება. ქუთაისის ცენტრალურ არქივს შესანახად გადაეცა აღნიშნული წლების 637 საქმე. მოწესრიგდა ხანგრძლივად შესანახი 8 საქმე. გასანადგურებლად გამოიყო 458 საქმე.

ე) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

სერიოზული მუშაობა გასწია საკრებულოს აპარატის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა – ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ განყოფილებისათვის განსაზღვრული ფუნქცია–მოვალეობების შესასრულებლად.

საანგარიში პერიოდში, განყოფილების მიერ, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა და გამოიცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 650 ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტი; განყოფილების ორგანიზებით, მიმდინარე წელს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში გამოცხადდა დახურული კონკურსი შტატით გათვალისწინებულ ერთ ვაკანტურ პოზიციაზე, კონკურსის საფუძველზე შეირჩა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიაში დასაქმდა ერთი პირი; ორგანიზება გაეწია სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსების ჩატარებას. ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 3 -მმა პირმა. სტაჟირების პერიოდში გამოვლენილი პიროვნული და პროფესიული უნარებიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, შრომითი ხელშეკრულების

საფუძველზე, დასაქმდა 2 სტაჟიორი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პროფესიული პრაქტიკა გაიარა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მესამე სემესტრის 11-მა სტუდენტმა. პრაქტიკის პერიოდში ისინი გაეცვნენ საჯარო დაწესებულების მუშაობის სპეციფიკას, კერძოდ, საკრებულოს აპარატისა და საკრებულოს დარგობრივი კომისიების მუშაობას, სამსახურებრივი დოკუმენტაციის წარმოებას, დაესწრნენ საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს სხდომებს. მიიღეს სათანადო გამოცდილება და გამოიმუშავეს მათი პროფილის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ მათგანზე გაიცა შესაბამისი ცნობა.

საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა საკრებულოს აპარატში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დახვეწის საქმეს. აღნიშნული მიზნით, მათი საჭიროებებისა და ინტერესების კვლევის საფუძველზე, პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამა გაიარა საკრებულოს აპარატში დასაქმებულმა 10-მა პირმა, მათ შორის: საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენინგკურსი: „მართვა და ლიდერობა, მართვის თანამედროვე მეთოდები“ - 7-მა მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულმა პირმა; საქართველოს სამართლის ჰოლდინგის ტრენინგკურსი: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი“ – 1-მა პირმა; ჯეი ჯეი ტრენინგ ცენტრის 2 ტრენინგკურსი: „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სასამართლო პრაქტიკა“ – 1-მა პირმა; „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და სასამართლო პრაქტიკა“ – 1-მა პირმა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებულმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს მოკლევადიან „ტრენინგებში“ შემდეგ თემებზე: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები“; „ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის („eHRMS“) ეფექტური გამოყენება“; „გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება“; „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ კოდექსის აღსრულების კონტროლი და მოკვლევის შედეგების განხილვა“; „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადება“; „ქუთაისი - ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პროექტებში და ცვლილებების მართვა“; „მუნიციპალიტეტში სამშენებლო ნებართვების მართვის საკითხები“; „სოციალური ინკლუზია“; „როგორ უზრუნველვყოთ კარგად დაგეგმილი, ინკლუზიური და ეფექტიანად ხელშეწყობილი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის განხორციელება“; „ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერშედეგების გაძლიერება“; „პრაქტიკული ნაბიჯები - ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპული ქარტიის განსახორციელებლად“; „ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“;

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონის განხილვა“; „გენდერულად მგძნობიარე მუნიციპალური პოლიტიკისა და პროგრამების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება“ და ა.შ.

2024 წელს განხორციელდა „USAID-ის“ ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა პროგრამის პარტნიორ მუნიციპალიტეტებში, მათ შორის, ქუთაისის საკრებულოში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის („HRMS“) გაუმჯობესებას. პროექტის ფარგლებში ჩატარდა არაერთი ტრენინგი/ინტერმუნიციპალური ვორქშოფი, მომზადდა „HRMS“-ის გაუმჯობესების გეგმები. ამასთან, დამატებით შეიქმნა რიგი დოკუმენტები, რომლებიც ხელს უწყობს „HR“-ის გაძლიერებას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

განყოფილების ხელშეწყობითა და ძალისხმეევით, კანონით დადგენილი წესით განხორციელდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საბოლოო და შუალედური შეფასების ღონისძიებები. საუკეთესო შეფასების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეებს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მიენიჭათ მოხელეთა შესაბამისი კლასი.

ვ) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის – მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების საინფორმაციო უზრუნველყოფის, საკრებულოს საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალების მომზადება–გავრცელების, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების პრესკონფერენციების, ბრიფინგების, შეხვედრებისა და ინტერვიუების ჩატარების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით.

განყოფილებამ საანგარიშო პერიოდში გააშუქა საკრებულოს 12 რიგითი და 4 რიგგარეშე სხდომა. ყველა სხდომა პირდაპირი ეთერის საშუალებით გადაიცა ტელეკომპანია „რიონისა“ და საკრებულოს ფეისბუქ გვერდის მეშვეობით.

განყოფილების ხელშეწყობით, მოეწყო ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე ჯანდაცვითი პროგრამების განხილვა ტელეკომპანია „რიონის“ თოქშოუ „პოლიტიკურ რუკაში“.

ტელეკომპანია „პოს ტივისა“ და „იმედის“ ეთერში გადაიცა ინფორმაციები საკრებულოს აქტივობების შესახებ.

განყოფილების მიერ ასევე იმართება ყველა ის ოფიციალური გვერდი (ფეიჯი), სადაც თითოეული მაჟორიტარი საკრებულოს წევრის აქტივობა არის განთავსებული.

განყოფილება აქტიურ საქმიანობას ეწევა საკრებულოს მიერ ორგანიზებული სხვადასხვა საქველმოქმედო, კულტურული, სპორტული თუ პროფესიული ღონისძიების გაშუქების მიზნით.

მოცემულ პერიოდში, განყოფილების მიერ, არაერთი ინფორმაცია მომზადდა საკრებულოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე. სერიოზული ყურადღება მიექცა საკრებულოს წევრების ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრების გაშუქებას და სხვ. .

12. ჩემ მიერ განხორციელებული აქტივობების ზოგადი მიმოხილვა

ა) საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხორციელებული აქტივობის სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე წარმოვადგინე სამართლებრივი აქტის 15 და ბიუროს სხდომის საოქმო გადაწყვეტილების 28 პროექტი; საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით დავსვი 12 შეკითხვა, 31-ჯერ გამოვთქვი მოსაზრება, სხვადასხვა საკითხების თაობაზე განცხადება გავაკეთე 7-ჯერ, ხოლო, განმარტება 53-ჯერ. შესავალი სიტყვა წარმოვთქვი 5-ჯერ.

ბ) ჩემ მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გაწეული საქმიანობის შესახებ

როგორც საკრებულოს მაჟორიტარ წევრს, მოქალაქეთა ყოველდღიური მიღება მაქვს დაწესებული საკრებულოში, ამასთან, მოქალაქეთა მიღებისათვის გამოყოფილი მაქვს ყოველი კვირის ოთხშაბათი „გამარჯვების“ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე.

საანგარიშო პერიოდში ჩემ მიერ მიღებულია 200-ზე მეტი მოქალაქე, რომელთა უმრავლესი ნაწილი სოციალურად დაუცველია და მათ მიერ დასმული საკითხები ძირითადად სხვადასხვა სახის დახმარების მიღებას შეეხება. ჩემ მიერ, ყველა მათგანის თხოვნა კანონით დაცულ ვადებშია განხილული. არცერთი მათგანის თხოვნა არ არის დატოვებული ყურადღების გარეშე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად, აქტიურად ვიყავი ჩართული ქალაქის მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხების მოგვარების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამართულ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში.

13. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში არსებული ხარვეზები და გასატარებელი ღონისძიებები

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ხელმძღვანელობითა და ორგანიზებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ - საკრებულომ საგრძნობლად გააუმჯობესა საქმიანობა მისი უფლებამოსილების განხორციელებისათის, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი ამ მიმართულებით.

გასაძლიერებელია წარმომადგენლობითი ორგანოს საზედამხედველო მუშაობა. საკრებულოს კომისიების მიერ, მეტი კონტროლის გამოჩენაა საჭირო საკრებულოს გადაწყვეტილებებისა და კომისიების რეკომენადაციების შესრულების მდგომარეობის მიმართულებით. უნდა გაუმჯობესდეს აღმასრულებელი ორგანოს მიდგომები საკრებულოსთან მიმართებაში. საკრებულოს ნაკლები კონტროლის მიზეზად უნდა ჩაითვალოს, რომ დღემდე ვერ იქნა მიღწეული საკრებულოს სხდომებზე მერიის მიერ, საკრებულოში სამართლებრივი აქტების პროექტების დროულად წარმოდგენა. ამასთან, აღმასრულებელი ოორგანოს მიერ, მეტი მუშაობაა საჭირო სამართლებრივი აქტების პროექტებში როგორც სამართლებრივი, ასევე, რედაქციული კუთხით არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

საკრებულომ, მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივი თვითმმართ-ველობის განხორციელების საკითხებში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობას. ამ მიზნით, საკრებულოს წევრთა მიერ, მეტი დრო უნდა დაეთმოს მოსახლეობის წინაშე ანგარიშებით წარდგენის საკითხებს, მათ ინფორმირებულობას მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობების, ქალაქის განვითარების გზების, თვითმმართველობის წინაშე მდგომი გამოწვევების თაობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპლიტეტის საკრებულო, თავის მომავალი საქმიანობის განხორციელებისას მეტ ძალისხმევას გამოიჩენს მოსახლეობის საჭიროებების მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად. მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ვეცდები სრულად გამოვიყენო ჩემი შესაძლებლობები, რათა მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნებსაც ღირსეულად შევხვდეთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რათა კვლავ ღირსეული გამარჯვება მოვიპოვოთ.

მადლობა ყურადღებისათვის!

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია